დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

„ძლიერი სახელმწიფო, ძლიერი დიასპორა“

ოქტომბერი, 2023

ნიუ-ჯერსიში ღონისძიება - „აფხაზეთი საქართველოა“ ჩატარდა

1 ოქტომბერს, პირველად ამერიკაში, ნიუ-ჯერსის შოთა რუსთველის სახელობის ქართული კულტურის ცენტრის ინიციატივით, ჩატარდა ღონისძიება სახელწოდებით „აფხაზეთი საქართველოა“. ღონისძიებაზე გაიხსენეს და პატივი მიაგეს საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულთა ხსოვნას.

მაყურებლის წინაშე წარდგნენ აშშ-ში მოქმედი ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები: შოთა რუსთველის სახელობის ქართული კულტურის ცენტრთან არსებული ანსამბლი „საქართველო“, ანსამბლი „ზეკარი“, ანსამბლი „დაკარგული ლეგენდები“, Irina Dance Academy, ანსამბლი „ელვა“, აშშ-ში ქართული კულტურის ცენტრთან Dancing Crane Company არსებული ბავშვთა ვოკალური ანსამბლი „იბერია“, ასევე, ლას-ვეგასის ქართული ცენტრის ხელმძღვანელი, მომღერალი ირაკლი რუსია და მომღერალი სოფო ალანია, ამერიკაში მოღვაწე ქართველი პიანისტი და კომპოზიტორი ირაკლი შარაძე, მომღერალი ლიზა ყენია, ამერიკაში მცხოვრები ქართველი პიანისტი ლევან შენგელია, მომღერალი გიორგი შალვაშვილი, ამერიკაში მოღვაწე კინოსა და თეატრის მსახიობი დონარა გვრიტიშვილი, ამერიკაში მოღვაწე ქართველი პიანისტი სანდრო გეგეჭკორი და სხვები.

ღონისძიებას უძღვებოდნენ ლელა ნინუა და გიორგი გასვიანი, რომელიც სპეციალურად ამ ღონისძიებისთვის ესტუმრა ნიუ- ჯერსის.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა ქ. ნიუ-იორკში საქართველოს გენერალურმა კონსულმა, მაია ბართაიამ.

ღონისძიებას ესწრებოდნენ აშშ-ში ქართული დიასპორის წარმომადგენლები და უცხოელი სტუმრები.

ანსამბლმა „ივერიელები“ პირეას თეატრში გამართულ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა

1 ოქტომბერს, საბერძნეთის რესპუბლიკაში, პირეას ისტორიულ თეატრში გაიმართა „Ηγέχορ“ საიუბილეო საღამო, რომელშიც სხვა ქვეყანების დიასპორის წარმომადგენლებთან ერთად, საქართველოს დიასპორული ორგანიზაციის წარმომადგენლებმაც მიიღეს მონაწილეობა.

ქ. ათენში მოქმედ ბერძნულ-ქართულ კულტურულ ასოციაციასთან არსებული ქართული ქორეოგრაფიული ანსამბლი „ივერიელები“ აუდიტორიის წინაშე ქართული ხალხური ცეკვებით წარდგა.

თესალონიკში ქართულ-ბერძნული ხეივანი გაიხსნა

3 ოქტომბერს, ქ. თესალონიკში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „დიასპორული ინიციატივების მხარდაჭერა“ ფარგლებში, „ქართველ ემიგრანტთა ლიგის“ წარმომადგენლის, ქეთევან გონგლაძის ინიციატივითა და თესალონიკში საქართველოს გენერალური საკონსულოს მხარდაჭერით, წმინდა ფოტიუს სახელობის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე ქართულ-ბერძნული ხეივანი გაიხსნა.

ღონისძიებას, ადგილობრივ მოსახლეობასთან და ქართველ ემიგრანტებთან ერთად, ესწრებოდა ქალაქის მერიის წარმომადგენელი, რომელმაც თესალონიკში საქართველოს გენერალურ კონსულთან, ნოდარ კომახიძესთან და „ქართველ ემიგრანტთა ლიგის“ წარმომადგენელთან ერთად ქართულ-ბერძნულ ხეივანში ზეთისხილის ხე დარგო. ხეივანში, ასევე, განთავსდა მემორიალური დაფა შემდეგი წარწერით: „ამ სივრცეში დარგულია 30 ზეთისხილის ხე საქართველო-საბერძნეთის დიპლომატიური ურთიერთობების აღსანიშნავად“.

ქ. თესალონიკში მოქმედმა ქართულმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა ღონისძიება მუსიკალურად გააფორმეს.

ფრანკფურტში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირების თემაზე პრეზენტაცია გაიმართა

4 ოქტომბერს, ქართული კულტურის დღეების ფარგლებში, ქ. მაინის ფრანკფურტში საქართველოს გენერალურ საკონსულოში, ქართულ-გერმანული კულტურისა და განათლების ორგანიზაცია „გეორგიკას“ ორგანიზებით გაიმართა კონფერენცია-წარდგენა სახელწოდებით: „ქართველი დევნილების ჰუმანიტარული მდგომარეობა რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოს ტერიტორიებზე“.

საღამო მისასალმებელი სიტყვით გახსნა ქ. მაინის ფრანკფურტში საქართველოს გენერალური საკონსულოს კონსულმა მაია აბულაშვილმა. მან ვრცლად ისაუბრა ოკუპირებულ რეგიონებში მძიმე ჰუმანიტარულ ვითარებაზე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საქართველოს მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკას, რომელის პრიორიტეტი ქვეყნის დეოკუპაციია და კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება გახლავთ.

ღონისძიების ფარგლებში გაიმართა ქართველი დოკუმენტალისტის, თაკო რობაქიძის დოკუმენტური ფილმის „მცოცავი საზღვრები“ ჩვენება, ფილმი ასახავს რუსეთის მიერ საქართველოს ისტორიული რეგიონების ოკუპაციის გავლენას ე.წ. საზღვართან მდებარე სოფლებში მცხოვრები ადამიანების ყოველდღიურ ყოფაზე. ფილმის ჩვენების შემდეგ, ორგანიზაცია „გეორგიკას“ წარმომადგენელმა, ჰანეს ვირთმა ნიქოზისა და ცხინვალის მიტროპოლიტის, მეუფე ისაიას მიერ 2008 წლის ომის დროს საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფელში (ზემო ნიქოზი) გადაღებული ფოტოების ჩვენება გამართა.

მაინის ფრანკფურტში საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი „ციფრული კავკასიოლოგია - პარადიგმის ცვლილება“ ჩატარდა

4-8 ოქტომბერს, ქ. მაინის ფრანკფურტში გოეთეს სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმს „ციფრული კავკასიოლოგია - პარადიგმის ცვლილება“ (Digital Caucasiology - a change of paradigm) უმასპინძლა.
სიმპოზიუმში მონაწილეობა მიიღეს ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომლებმა. სიმპოზიუმი ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტის ემპირიული ენათმეცნიერების ინსტიტუტის, კავკასიოლოგიისა და ქართველოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ქართველმა ენათმეცნიერმა, მანანა თანდაშვილმა გახსნა.
მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გიორგი ამილახვარმა, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ლევან იზორიამ და გოეთეს უნივერსიტეტის პრეზიდენტმა ენრიკო შლაიფმა.
აუდიტორიის წინაშე მოხსენებებით წარდგნენ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი თეონა ბერიძე, საქართველოს უნივერსიტეტის პრეზიდენტი მანანა სანაძე და გოეთეს სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენათმეცნიერების ფაკულტეტის ხელმძღვანელი, პროფესორი გერდ ქარლინგი.
სესიის გახსნაში მონაწილეობა მიიღო თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა მზექალა შანიძემ და ჰამბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა, ქართველოლოგმა იოსტ გიპერტმა.

ჯოვინაცოში ქართული კულტურის საღამო გაიმართა

5 ოქტომბერს, ქ. ჯოვინაცოში, ქ. ბარიში მცხოვრები ქართველი ემიგრანტის, თეონა ბოტკოველის ორგანიზებით, ქართული საღამო გაიმართა. ღონისძიების ფარგლებში ემიგრაციაში მცხოვრებმა ახალგაზრდა ხელოვანებმა ხელნაკეთი ნამუშევრების გამოფენა მოაწყვეს, წაიკითხეს საკუთარი ლექსები ქართულ და იტალიურ ენებზე.
ღონისძიებას ესწრებოდნენ ქ. ბარიში საქართველოს გენერალური საკონსულოს თანამშრომლები, პულიას რეგიონის ქალაქებში მცხოვრები ქართული დიასპორის წარმომადგენლები, ქ. ჯოვინაცოს მერი მიკელე სოლიჩიტო, საქველმოქმედო ორგანიზაცია „Caritas Italiana“-ს წარმომადგენლები და უცხოელი სტუმრები.
ქართულ-იტალიური მეგობრობისადმი მიძღვნილი საღამოს დასასრულ მასპინძლებმა სტუმრებს ქართული კერძები და ღვინო შესთავაზეს.

მესხეთის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა მოლდოვის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში მიიღო მონაწილეობა

7 ოქტომბერს, საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ფარგლებში, ქ. კიშინიოვის ლუკა კარაგიალეს სახელობის სატირის ეროვნული თეატრის დიდ დარბაზში, მესხეთის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა, ვაჟა-ფშაველას პოემის „სტუმარ-მასპინძელი“ მიხედვით დადგმული სპექტაკლი (რეჟისორი ლუკა რაზიკაშვილი) წარმოადგინა.
სპექტაკლს ესწრებოდნენ ქართული დიასპორული ასოციაციის „სამშობლო“ წარმომადგენლები და მოლდოვის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს თანამშრომლები.

მაინის ფრანკფურტში „ქართული დიასპორის სკოლების ფესტივალი 2023“ გაიმართა

7 ოქტომბერს, ქ. მაინის ფრანკფურტში ქართულ-გერმანული კულტურისა და განათლების ორგანიზაცია „გეორგიკასთან“ არსებული საკვირაო სკოლის ორგანიზებით „ქართული დიასპორის სკოლების ფესტივალი 2023“ გაიმართა. საზეიმო ღონისძიება ქ. მაინის ფრანკფურტში ქართული საკვირაო სკოლის დაარსებიდან 10 წლისთავს მიეძღვნა.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ქ. ნიურნბერგის ქართული კულტურის ცენტრთან „ინკო“ არსებულმა ცეკვის სტუდია „იბერიამ“, ქ. შტუტგარტის მუსიკალურმა საზოგადოებამ Art Music Georgia, ქართულ-გერმანული კულტურისა და განათლების ორგანიზაციასთან „გეორგიკა“ არსებულმა საკვირაო სკოლამ და ქ. მაინის ფრანკფურტში გიტარის პედაგოგის, ნიკა კვარაცხელიას მოსწავლეებმა.

ღონისძიება ფესტივალის ორგანიზატორმა და ქ. მაინის ფრანკფურტის ქართული საკვირაო სკოლის ხელმძღვანელმა, მაია შავლიაშვილმა გახსნა. მან მადლობა გადაუხადა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობების დეპარტამენტს, ასევე, ქ. მაინის ფრანკფურტსა და ქ. შტუტგარტში საქართველოს გენერალურ საკონსულოებს იმ შესაძლებლობებისათვის (სახელმწიფო პროექტების კუთხით), რაც ქართულ დიასპორულ ორგანიზაციებს და მის წევრებს დასახული იდეების განხორციელებაში და განვითარება-გაძლიერებაში ეხმარება. აღნიშნულ ღონისძიებას ესწრებოდნენ ქ. მაინის ფრანკფურტში და ქ. შტუტგარტში საქართველოს გენერალური საკონსულოების თანამშრომლები.

ათენში საბერძნეთში მოღვაწე ქართველი მხატვრის, ქეთი უძილაურის პერსონალური გამოფენა გაიმართა

8 ოქტომბერს, ქ. ათენში, ბერძნულ-ქართულ კულტურულ ასოციაციაში, ქართული დიასპორის ხელშეწყობით, საბერძნეთში მოღვაწე ქართველი მხატვრის, ქეთი უძილაურის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა გაიმართა. სპეციალურად ამ დღისთვის საქართველოდან ჩამოვიდა მხატვრის და, პოეტი ნინო უძილაური და დამსწრე საზოგადოებას თავისი ლექსები წაუკითხა. შეხვედრას ბერძნულ-ქართული კულტურული ასოციაციის ლიტერატურული სალონის ამაგდარი, რუსუდან ჯანელიძე უძღვებოდა.
ღონისძიებას ესწრებოდნენ საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს საქმეთა დროებითი რწმუნებული დარეჯან მუმლაძე და საელჩოს პირველი მდივანი ანი უძილაური.

კალიფორნიის შტატის ტოპანგას ხეობაში „თბილისობა“ აღინიშნა

8 ოქტომბერს, ტოპანგას ხეობაში (აშშ, კალიფორნია), სამხრეთ კალიფორნიის ქართული კულტურული და საგანმანათლებლო ცენტრის ორგანიზებითა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით პირველი „თბილისობა“ გაიმართა.
მაყურებლის წინაშე წარდგა ქართველი მომღერალი ნინი შერმადინი.
ღონისძიებაზე მისულ სტუმრებს მასპინძლები ქართული ტრადიციული კერძებითა და ღვინით გაუმასპინძლდნენ.

ბარსელონაში „თბილისობა 2023“ გაიმართა

8 ოქტომბერს, ქ. ბარსელონაში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „დიასპორული ინიციატივების მხარდაჭერა“ ფარგლებში, ბარსელონას წმინდა ნინოს სახელობის სამრევლოს ორგანიზებითა და ქ. ბარსელონაში საქართველოს გენერალური საკონსულოს, ასევე, ბარსელონას მერიის მხარდაჭერით, „თბილისობა 2023“ ჩატარდა.

ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვლადიმერ კონსტანტინიდიმ, ესპანეთის სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ილია გიორგაძემ, ქ. ბარსელონაში საქართველოს გენერალურმა კონსულმა ალექსანდრე ჭკუასელმა, ქ. ბარსელონას წმინდა ნინოს სახელობის სამრევლოს ხელმძღვანელმა ლუკა ფალავანდიშვილმა და ბარსელონას მერიის კომისარმა დიასპორების, კულტურისა და რელიგიის საკითხებში. მომხსენებლებმა აღნიშნეს, რომ ბარსელონაში „თბილისობა“ უკვე მეორე წელია იმართება და სერიოზულ როლს ასრულებს ესპანეთში საქართველოს პოპულარიზაციის საქმეში.

ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო ქართული კულტურისა და ხელოვნების, ასევე, მდიდარი ფოლკლორის ამსახველი პავილიონები და ინსტალაციები.

რიგაში ქართული ღვინის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა



9 ოქტომბერს, ქ. რიგაში, საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“, 2023 წლის გამარჯვებულის, ანა მამალაძის ინიციატივითა და ორგანიზებით ქართული ღვინის დღისადმი მიძღვნილი ზეიმი გაიმართა. ღონისძიებაზე წარმოდგენილი გახლდათ ქართული რესტორნის მიერ შერჩეული ღვინოები და ტრადიციული ქართული კერძები.
ღონისძიებას ესწრებოდნენ ლატვიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს თანამშრომლები, დიასპორული ორგანიზაციების წევრები და მოწვეული სტუმრები.
შეხვედრის მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს უცხოეთში ქართული კულტურის წარმოჩენის საქმეში ახალგაზრდების ჩართულობის განსაკუთრებულ მნიშვნელობას. საღამო მუსიკალურად გააფორმა ლატვიაში მცხოვრებმა ახალგაზრდა ქართველმა მუსიკოსმა კახაბერ მეტრეველმა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში საქართველოს ახალგაზრდა ელჩი ქალაქ ფანშის ეწვია

9 ოქტომბერს, ჩინეთის ძილინის პროვინციაში, საკვები პროდუქტების სფეროში წამყვანი კომპანიის მიწვევით, საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ 2023 წლის გამარჯვებული (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში) თამარ ქვლივიძე ქ. ფანშის ეწვია.
თამარ ქვლივიძემ კომპანიის ხელმძღვანელებს საქართველოს საინვესტიციო შესაძლებლობები გააცნო. მხარეებმა ისაუბრეს საქართველო-ჩინეთს შორის კვების ინდუსტრიაში თანამშრომლობისა და კონკრეტული პროექტების განხორციელების შესაძლებლობებზე ისაუბრეს. მასპინძლებმა თამარ ქვლივიძეს კომპანიის საწარმო დაათვალიერებინეს და საწარმოო პროცესი გააცნეს.

ტალინში „ქართული კულტურის დღე" ჩატარდა

12 ოქტომბერს, ქ. ტალინის გერმანულ გიმნაზიაში ქართული საკვირაო სკოლის "მზიური" და ესტონეთში ქართული გასტრონომიის ელჩის, მამუკელ გორელაშვილის, ერთობლივი ძალისხმევით „ქართული კულტურის დღე" ჩატარდა. ღონისძიებაზე მისულ სტუმრებს შესაძლებლობა მიეცათ გაცნობოდნენ საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობას.
მამუკელ გორელაშვილმა ღონისძიების მონაწილეთათვის ქართული ტრადიციული სამზარეულოს მასტერ-კლასი ჩაატარა და რეგიონების მიხედვით ქართული კერძების ისტორიასა და სპეციფიკაზე ისაუბრა. მასტერ-კლასში მონაწილეობა მიიღეს საკვირაო სკოლის მოწაფეებმა და პედაგოგებმა, რომლებმაც თავად გააკეთეს ხინკალი და ხაჭაპური.

ფლორენციაში საქველმოქმედო კონცერტი ჩატრადა

12 ოქტომბერს, ქ. ფლორენციაში ქართულ-იტალიური კულტურული ასოციაცია „იბერიას“ ორგანიზებითა და საქველმოქმედო ორგანიზაცია „როტარი კლაბის“ მხარდაჭერით საქველმოქმედო კონცერტი „საქართველო, ოქროს საწმისიდან ქრისტიანულ ცივილიზაციამდე“ გაიმართა.
კონცერტი მისასალმებელი სიტყვით გახსნა „როტარი კლაბის" ადგილობრივმა წარმომადგენელმა, რობერტო ლუჩანიმ, რომელმაც ხაზი გაუსუვა ქართული კულტურის პოპულარიზაციის მნიშვნელობას იტალიის რესპუბლიკაში და ორ ქვეყანას შორის კულტურული და რელიგიური დიალოგის აუცილებლობას.
დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა, იტალიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს უფროსმა მრჩეველმა მაკა გურგენიძემ. მან მადლობა გადაუხადა საღამოს ინიციატორებსა და სპონსორებს, ასევე, ტოსკანის რეგიონის ქართულ დიასპორას უცხო მიწაზე ქართული კულტურის პოპულარიზაციისა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებაში შეტანილი წვლილისთვის.
კონცერტს უძღვებოდა ორგანიზაცია „იბერიას“ დამფუძნებელი, მარინა ქევხიშვილი, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი პერიოდები იტალიურ ენაზე გააცნო. ამის შემდეგ წარმოდგენა გამართა ფლორენციის წმ. ნინოს სახელობის ტაძართან არსებულმა, ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა ,,ნანილა.''
ღონისძიებას ესწრებოდნენ „როტარი კლაბის,“ ტოსკანის რეგიონის ადგილობრივი თვითმართველობისა და ქართული დიასპორის წარმომადგენლები. კონცერტიდან შემოსული თანხა წმ. ნინოს სამრევლო ტაძართან არსებულ ქართულ საკვირაო სკოლას მოხმარდება.

დრეზდენის ფესტივალზე დიასპორული ორგანიზაცია „ქართველები გერმანიაში“ წარდგა

13 ოქტომბერს, ქ. დრეზდენის ინტერკულტურული დღეების ფარგლებში გაიმართა ფესტივალი სახელწოდებით Bürgerfest „Prohlis ist bunt“. ფესტივალზე წარმოდგენილი იყო მრავალფეროვანი და მრავალ-ნაციონალური პროგრამა თავისი მდიდარი სამზარეულოებით, თანამედროვე და კლასიკური მუსიკით, ბავშვთა გასართობი აქტივობებით.

წელს ფესტივალში მონაწილეობა მიიღო დრეზდენის ქართულმა დიასპორულმა ორგანიზაციამ „ქართველები გერმანიაში“, რომელმაც ფესტივალზე, ბავშვებისათვის, ხელნაკეთი თოჯინების და ქართული ტრადიციული კერძების დამზადების „ვორქშოპი“ გამართა. ორგანიზაციის საბავშვო ანსამბლის წევრებმა ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვები შეასრულეს.

პენსილვანიის შტატში სვეტიცხოვლობის დღესასწაული აღინიშნა

14 ოქტომბერს, პოკონოს წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძარში ტრადიციულად აიღნიშნა სვეტიცხოვლობის დღესასწაული. სადღესასწაულო მსახურება ჩრდილოეთ ამერიკის ეპისკოპოსმა, საბამ (ინწკირველი) ეპარქიის სამღვდელოებასთან ერთად აღასრულა.

წირვის დასრულების შემდეგ, წმინდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძის სახელობის ქართული კულტურის ცენტრის ორგანიზებით გაიმართა საზეიმო ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ამერიკაში მოქმედმა ქართულმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა, კერძოდ, წმინდა გრიგოლ ხანძთელის ეკლესიასთან არსებულმა ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლმა „ხანძთელი“, „ფესვები“ ნიუ-იორკიდან და ნიუ-ჯერსიდან, Irina Dance Academy, ქართული კულტურის ცენტრ Dancing Crane-ის ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ლეგენდები“.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ქ. ნიუ-იორკში საქართველოს გენერალური კონსული მაია ბართაია, ქართული დიასპორის წარმომადგენლები და საქართველოდან მამა თეოდორე გიგნაძე.

დიასპორულმა ორგანიზაციამ „ქართულ-ევროპული საზოგადოება“ 20 წლის იუბილე აღნიშნა

14 ოქტომბერს, ქ. ბილეფელდში ქართულმა დიასპორულმა ორგანიზაციამ „ქართულ-ევროპული საზოგადოება“ (Georgisch-Europäische Gesellschaft e.V.) და მასთან არსებულმა საკვირაო სკოლამ დაარსებიდან 20 წლის იუბილე აღნიშნა. საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი საღამო „ქართულ-ევროპული საზოგადოების“ დამფუძნებელმა და ხელმძღვანელმა ჯიმშერ ბედიანაშვილმა გახსნა. მან ფართოდ მიმოიხილა დიასპორული ორგანიზაციის განვლილი გზა, განხორციელებული საქველმოქმედო და საგანმანათლებლო პროექტები და გულმხურვალედ მიესალმა საკვირაო სკოლის პედაგოგებსა და აღსაზრდელებს. ქ. ბილეფელდის საკვირაო სკოლის მოსწავლეების უკვე რამდენიმე თაობამ, სპეციალურად ღონისძიებისთვის, ქართული ცეკვები და სიმღერები წარმოადგინა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ქ. მაინის ფრანკფურტში საქართველოს გენერალური კონსული გიორგი ტაბატაძე და კონსული მაია აბულაშვილი. გენერალურმა კონსულმა მიულოცა ქართულ საკვირაო სკოლას ოცი წლის იუბილე და უსურვა წარმატებები იმ ფასდაუდებელ საქმეში, რომელიც ქართულ დიასპორაში ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებას ემსახურება. აღინიშნა ქართულ-გერმანული საზოგადოების უდიდესი წვლილი თანამემამულეების გაერთიანების საქმეში.

გენერალურმა კონსულმა საზოგადოების ხელმძღვანელს, მწერალსა და ჟურნალისტს, ჯიმშერ ბედიანაშვილს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის მისალოცი წერილი გადასცა.

სტამბოლში საერთაშორისო ვორქშოპი „ინტერკულტურული კომუნიკაციები საქართველოში“ ჩატარდა

14 ოქტომბერს, ქ. სტამბოლში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ 2023 წლის გამარჯვებულის, სოფიკო ბზარაშვილის ორგანიზებით ჩატარდა საერთაშორისო ვორქშოპი „ინტერკულტურული კომუნიკაციები საქართველოში“. სამუშაო შეხვედრას ესწრებოდნენ სტუდენტები ინგუშეთიდან, ირანიდან, ერაყიდან, ეგვიპტიდან, ნიგერიიდან, ყაზახეთიდან, უზბეკეთიდან, უკრაინიდან, მოლდოვადან, ჩეჩნეთიდან, გერმანიიდან, იტალიიდან და პოლონეთიდან.

სოფიკო ბზარაშვილმა დამსწრე საზოგადოებას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამა „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩის" კონცეფცია გააცნო და უცხოეთში მცხოვრებ ქართველ ახალგაზრდებთან და სტუდენტებთან ინსტიტუციური ურთიერთობის განვითარებაში საქართველოს აქტიურ ჩართულობაზე ესაუბრა. მან განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა პროგრამის მიზნებზე, რომლებიც ითვალისწინებს ადგილსამყოფელ ქვეყნებში საქართველოს, მისი კულტურის პოპულარიზაციას, ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცვას, უცხოელ მეგობართა ქსელის შექმნას და დიასპორის წარმომადგენლებთან თანამშრომლობას.

ვარშავაში ქართულ-პოლონური საკვირაო სკოლა და ქართული სახლი გაიხსნა

14 ოქტომბერს, ქ. ვარშავაში, ერების ხსოვნის ფონდის ინიციატივით, ქართული სახლი და ბავშვთა ქართულ-პოლონური საკვირაო სკოლა გაიხსნა. საკვირაო სკოლაში ბავშვები დაეუფლებიან ქართულ და პოლონურ ენებს, ასევე, ისწავლიან ორი ქვეყნის კულტურასა და ისტორიას.

ღონისძიებაზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ პოლონეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დიანა ჟღენტი და ქართული მეგობრობის სახლის დირექტორი, ეკატერინე ბერუაშვილი.

ღონისძიებას ესწრებოდნენ პოლონეთში ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

ათენში გაიმართა თემატური საღამო „ანტიკური ვანიდან - ელადამდე“

14 – 15 ოქტომბერს, ქ. ათენის განათლებისა და კულტურის ცენტრმა „კავკასია“ უმასპინძლა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის მმართველს, ისტორიკოსს, არქეოლოგს, ომარ გაბუნიას, ქუთაისის საპატიო მოქალაქეს, მურმან შათირიშვილს, ქალაქ ვანის კულტურის ცენტრთან არსებულ ქორეოგრაფიულ ანსამბლს „ახალი ერა“ და ცნობილ ბერძენ მწერალს, მარტი ლაბრუს.

ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს ათენის განათლებისა და კულტურის ცენტრის დამფუძნებელმა და ხელმძღვანელმა, პროფ. ავთანდილ მიქაბერიძემ, საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა დარეჯან მუმლაძემ, საელჩოს უფროსმა მრჩეველმა დავით კორძაძემ, ათენში საქართველოს კონსულმა გელა ჯაფარიძემ და ელინისტმა ზურაბ ვაჩეიშვილმა.

საქართველოდან ჩამოსული სტუმრების მონაწილეობით, 14 ოქტომბერს გაიმართა თემატური საღამო სახელწოდებით „ანტიკური ვანიდან - ელადამდე“, რომლის ფარგლებშიც ქართული დიასპორის წარმომადგენლებს შესაძლებლობა მიეცათ, თემასთან დაკავშირებით საინტერესო მოხსენებები მოესმინათ, ხოლო, 15 ოქტომბერს, თეატრში „ჯნოსო“ მაყურებლის წინაშე საკონცერტო პროგრამით წარდგნენ ანსამბლები „ახალი ერა“ და „კავკასია“.

16 ოქტომბერს, ვანიდან ჩასულ სტუმრებს საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩომ უმასპინძლა. მხარეებმა ისაუბრეს საბერძნეთში ქართული დიასპორის ჩართულობის და საქართველოსა და საბერძნეთს შორის ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივებზე. აქცენტები გაკეთდა საბერძნეთში მცხოვრები ქართველი ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებაზე საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურ და კულტურულ პროცესებთან დაკავშირებით.

ნიუ-იორკში „თბილისობა 2023“ გაიმართა

15 ოქტომბერს, ქ. ნიუ-იორკში, ქართული კულტურის ცენტრმა „ფესვები“ „თბილისობა 2023“ გამართა. ზეიმზე მაყურებლის წინაშე წარსდგნენ მოწვეული ქართველი მომღერლები, მუსიკოსები, მსახიობები, სპორტსმენები, პერსონაჟები კინოფილმებიდან, ცეკვის ანსამბლები. ბავშვებისთვის მოეწყო გასართობი აქტივობები, ჭადრაკის ტურნირი, ქართული კალიგრაფიის კლასი, ჭიდაობა, ფეხბურთის მატჩი, ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა, ქართული ტრადიციული კერძების და ღვინოების დეგუსტაცია, მოეწყო სამახსოვრო ფოტოების გადასაღები სპეციალური დეკორაციები.

ქართული კულინარიის მასტერ-კლასები ესტონეთში

15 ოქტომბერს, ქ. ტარტუში, საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ 2023 წლის გამარჯვებულის, გიორგი ქორიძის ორგანიზებით ადგილობრივ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ქართული კულინარიული საღამო და მასტერ-კლასები ჩატარდა. სკოლის მოსწავლეები გაეცნენ ქართულ სამზარეულოს, შეისწავლეს ხაჭაპურისა და ყურძნის წვენით დამზადებული ტრადიციული თათარას დამზადების ტექნიკა.

ქართული კულტურის საღამო პურმერენდში

15 ოქტომბერს, ქ. პურმერენდში, საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ 2023 წლის გამარჯვებულის, მარიამ მიქიაშვილის ინიციატივით მოეწყო ქართული კულტურის საღამო. ღონისძიება გაიმართა კომპანიის Ghvino.nl – ‘Georgische wijnspeciaalzaak- ქართული ღვინის’ საგამოფენო სივრცეში.

საღამოს ესწრებოდა ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დავით სოლომონია, რომელმაც საგამოფენო სივრცის მასპინძლებთან ერთად მონაწილეობა მიიღო ქართული კულტურისა და ისტორიის პრეზენტაციაში და დამსწრე საზოგადოებას საშუალება მისცა გაცნობოდა ქართული ღვინის დაყენების ათასწლოვან ტრადიციებს, უძველეს ტექნოლოგიებს და ღვინის წარმოების როლს ქართული ყოფა-ცხოვრების და კულტურის ფორმირებაში.

ღონისძიებაზე წარმოდგენილი გახლდათ ქართული სამზარეულო და მოეწყო მრავალ საერთაშორისო კონკურსში გამარჯვებული ქართული ღვინოების დეგუსტაცია.

პარიზში პროექტის „ქართული საგანძური საფრანგეთში“ წარდგენა გაიმართა

15 ოქტომბერს, ქ. პარიზის წმინდა თამარ მეფის სახელობის ტაძარმა უმასპინძლა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „დიასპორული ინიციატივების მხარდაჭერა“ 2023 წლის გამარჯვებულ პროექტს - „ქართული საგანძური საფრანგეთში“.

ღონისძიებაზე მიწვეული სტუმრები ფოტოასლების საშუალებით გაეცნენ საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოქროს ფონდში დაცულ ისეთ სიწმინდეებს, როგორებიცაა - ხახულის ღვთისმშობლის კარედი ხატი, ანჩისხატი, დავით აღმაშენებლის საპროცესიო ჯვარი, თამარ მეფის გულსაკიდი ჯვარი, ტიხროვანი მინანქების კოლექციები და სხვა. პროექტის ავტორმა მაია ჯამბაზიშვილმა ისაუბრა ქართული ქრისტიანული ხელოვნების შესახებ და თანამემამულეებს დეტალურად გააცნო თითოეული ხატის ისტორია.

ღონისძიების ფარგლებში, ქართული საკვირაო სკოლის აღსაზრდელებს გადასცა სიმბოლური საჩუქრები. ღონისძიებას ესწრებოდა საფრანგეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გოჩა ჯავახიშვილი. მან აღნიშნული საგრანტო პროგრამის გამარჯვებულ სალომე ბერეკაშვილს საპატიო სიგელი გადასცა.

ცეკვის აკადემია „Georgia“ კულტურის საერთაშორისო ფესტივალზე

18 ოქტომბერს, ესპანეთის სან სებასტიანის (San Sebastián de los Reyes) მუნიციპალიტეტში, ალკობენდასისა და სან-სებასტიანის გამგეობის ორგანიზებით კულტურის საერთაშორისო ფესტივალი ჩატარდა. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ქართული ცეკვის აკადემიამ „Georgia“ (ალკობენდასის ფილიალი) მაკო მიქელაძისა და კოტე მესხიძის ხელმძღვანელობით.

სან-ფრანცისკოს Bay Area-ში მცხოვრებმა ქართველებმა „თბილისობა 2023“ აღნიშნეს

18 ოქტომბერს, ქ. სან-ფრანცისკოს Bay Area-ში, „ქართული მემკვიდრეობის ფონდის“ ორგანიზებით, ქართული დიასპორის წარმომადგენლების ჩართულობითა და ქ. სან-ფრანცისკოში საქართველოს გენერალური საკონსულოს მხარდაჭერით, Bay Area-ში მცხოვრებმა ქართველებმა „თბილისობა 2023“ აღნიშნეს.

ღონისძიებაზე მისულ სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს ქ. სან-ფრანცისკოში საქართველოს გენერალურმა კონსულმა, ლევან ბერიძემ და ქართული მემკვიდრეობის ფონდის დამფუძნებელმა, ლიანა ნიცეცკაიამ. გენერალურმა კონსულმა მადლობა გადაუხდა ქართული მემკვიდრეობის ფონდს იმ მნიშვნელოვანი წვლილისთვის, რომელიც მათ უკვე წლებია ქართული კულტურის პოპულარიზაციის, Bay Area-ში მცხოვრები ქართველების გაერთიანებისა და სამშობლოსთან კავშირის შენარჩუნების საქმეში შეაქვთ.

„ქართული კვირა“ კოლნში

18-21 ოქტომბერს, ქ. კოლნში, ქალაქის მერიის კულტურის განყოფილების მხარდაჭერითა და ქ. კოლნში მცხოვრები ქართველი ხელოვანის, თეონა გოგიჩაიშვილის ორგანიზებით საქართველოს დღეები სახელწოდებით -„ქართული კვირა“ (GEORGIA REH LIVE) ჩატარდა.
ღონისძიების ფარგლებში გაიმართა ქართული თანამედროვე მუსიკის კონცერტები, ქართული დოკუმენტური ფილმების ჩვენება, ქართველ ფოტოგრაფთა ნამუშევრების გამოფენები და ქართული ხელნაწერების ექსპოზიცია. ქართული კვირეული ლანა ბლიაძისა და დინა ოგანოვას ფოტო და ვიდეო ჩვენებებით და წლევანდელი „ქოლგა თბილისი ფოტოს” ნამუშევრების ჩვენებით გაიხსნა. კონცერტები გამართეს შოთა ჯინჭარაძემ და ენრიკო თაუბმანმა.
ქართული ხელოვნების კვირეულს ესწრებოდნენ ქ. მაინის ფრანკფურტში საქართველოს გენერალური საკონსულოს კონსული მაია აბულაშვილი და საკონსულოს თანამშრომლები. ღონისძიებას ეწვივნენ ქ. ჰამბურგში, ქ. რეგენსბურგში და ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის ფედერალურ მიწაზე მცხოვრები ქართული დიასპორის წარმომადგენლები და უცხოელი სტუმრები.
საქართველოს გენერალური საკონსულოს თანამშრომლებმა ღონისძიების პარალელურად სპეციალური შეხვედრა მოაწყვეს ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან. კონსულმა მადლობა გადაუხადა ქართული კვირეულის ორგანიზატორს თ. გოგიჩაიშვილს გერმანიაში ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში გაწეული შრომისთვის და ხაზი გაუსვა მსგავსი ღონისძიებების მნიშვნელობას გერმანიაში (უცხოეთში) მცხოვრებ ქართველი ახალგაზრდების ცნობიერებაში ეროვნული თვითმყოფადობის გაღვივება-შენარჩუნებისათვის.



ბელგიაში მცხოვრები ქართველი ახალგაზრდების შეხვედრა ვიქტორ დოლიძესთან

19 ოქტომბერს, საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ 2023 წლის გამარჯვებულის, ალექსანდრე ქიზიყურაშვილის ინიციატივით ჩატარდა ბელგიაში მცხოვრები ქართველი ახალგაზრდების შეხვედრა ნატო-ში საქართველოს მისიის ხელმძღვანელთან, საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან, ვიქტორ დოლიძესთან.
შეხვედრის ფარგლებში, ვიქტორ დოლიძემ ვრცლად ისაუბრა ნატო-საქართველოს შორის არსებულ თანამშრომლობაზე და მისი განვითარების დინამიკაზე. ნატოში საქართველოს წარმომადგენლობამ ორგანიზება გაუწია ახალგაზრდების შეხვედრას ნატოს სახალხო დიპლომატიის დეპარტამენტის წარმომადგენელთან, პაულა რედონდოსთან, რომელიც შეხვედრის მონაწილეებს საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში ალიანსის როლზე ესაუბრა.

ვაშინგტონში ამერიკული უნივერსიტეტის სტუდენტებთან შეხვედრა გაიმართა

20 ოქტომბერს, ქ. ვაშინგტონში, აშშ-ში საქართველოს საელჩომ ამერიკული უნივერსიტეტის (AU) სტუდენტებს უმასპინძლა. ღონისძიებას აშშ-ში საქართველოს საელჩოს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი ხათუნა კვესელავა უძღვებოდა. მან სტუდენტებს გააცნო საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სტრატეგიული ურთიერთობების მნიშვნელობა და მიმდინარე საკითხები, ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის პროცესი და ევროატლანტიკური მისწრაფებები, ისაუბრა რეგიონში საქართველოს მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ როლზე და იმ მიმდინარე პროექტებზე, რომელიც საქართველოს, როგორც რეგიონების დამაკავშირებელ სტატუსს კიდევ უფრო გააძლიერებს. აუდიტორიის მხრიდან დასმული კითხვები მოიცავდა ქვეყნის დეოკუპაციის, რეგიონულ კონფლიქტებისა და საქართველო-აშშ-ის ურთიერთობების ახალი შესაძლებლობების საკითხებს.

აღნიშნულ შეხვედრაში მონაწილეობდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ 2023 წლის გამარჯვებული აშშ-ში დავით შატაკიშვილი.

სტამბოლში საქართველოს გენერალური კონსული ქართველ სტუდენტებს შეხვდა

21 ოქტომბერს, ქ. სტამბოლში, საქართველოს გენერალურმა კონსულმა ალექსანდე ჯიშკარიანმა, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ გამარჯვებულთან თურქეთის რესპუბლიკაში, სოფიკო ბზარაშვილთან ერთად სტამბოლის უმაღლესი სასწავლებლების ქართველ სტუდენტებთან შეხვედრა გამართა.

შეხვედრაზე, რომელიც გენერალური საკონსულოში მოეწყო, ალექსანდე ჯიშკარიანმა საქართველო-თურქეთის ორმხრივი ურთიერთობების, ქ. სტამბოლში გენერალური საკონსულოს საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებებისა და საკონსულოს მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში ქართველი სტუდენტების მონაწილეობის მნიშვნელობაზე ისაუბრა. მან გასაკუთრებით აღნიშნა სტუდენტების როლი საქართველოს პოპულარიზაციისა და ქვეყნის პოზიტიური იმიჯის ჩამოყალიბების პროცესში. შეხვედრას სტამბოლის, აჯიბადემის, ილდიზის ტექნიკური უნივერსიტეტებისა და სტამბოლის საავიაციო აკადემიის სტუდენტები დაესწრნენ.

„საქართველოს დღეები“ ათენში

21 და 22 ოქტომბერს, ქ. ათენში, საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით და ქართული დიასპორული ორგანიზაციების ძალისხმევით ერთობლივი ღონისძიება - „საქართველოს დღეები“ გაიმართა.

ღონისძიების ფარგლებში 21 ოქტომბერს, მოსხატოს კულტურის ცენტრში, ნოდარ დუმბაძის 95 წლის იუბილეს აღსანიშნავად, ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიულმა სახელმწიფო თეატრმა სპექტაკლი „მზიანი გული“ წარმოადგინა. სპექტაკლი მისასალმებელი სიტყვით გახსნა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორმა, მუხრან გულაღაშვილმა. მან მადლობა გადაუხადა ბერძნულ-ქართულ კულტურულ ასოციაციას და მის ხელმძღვანელს, ხატია ქარსაულიძეს ღონისძიების ორგანიზებისთვის, ასევე, ნოდარ დუმბაძის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს, დიმიტრი ხვთისიაშვილს და თეატრალურ დასს ათენის სცენაზე ქართული სპექტაკლის წარმოდგენისთვის. დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა, ასევე, საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა დარეჯან მუმლაძემ და განსაკუთრებული ხაზი გაუსვა ქართული დიასპორის მნიშვნელოვან როლს საბერძნეთისა და საქართველოს ორმხრივი ურთიერთობის გაღრმავების საქმეში. აღნიშნული სპექტაკლი გაიმართა ბერძნულ-ქართული კულტურული ასოციაციის ინიციატივით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს „დიასპორული ინიციატივების მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში.

წარმოდგენის შემდეგ მუხრან გულაღაშვილმა შეხვედრა გამართა საბერძნეთში ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან და მათ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისთვის შემუშავებული, მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები გააცნო. შეხვედრაზე მხარეებმა გამოავლინეს, ზოგადად, ქართული დიასპორის წინაშე არსებული გამოწვევები და მათი გადაჭრის გზებზე ისაუბრეს.

22 ოქტომბერს, ღალაცის მუნიციპალიტეტის ღია ამფითეატრში, ქ. ათენში მოქმედი ქართული ქორეოგრაფიული ანსამბლების და ვოკალური ჯგუფების კონცერტი გაიმართა, დაიდგა ნაწყვეტები თეატრალური პიესებიდან, მოეწყო ქართველი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა, წარმოდგენილი იქნა ტრადიციული ქართული სამზარეულო და სპორტული შეჯიბრებები.

ერევანში „თბილისობა - 2023“ აღინიშნა

22 ოქტომბერს, ქ. ერევნის გამარჯვების პარკში, სომხეთის ქართულმა სათვისტომომ „ივერია“ „თბილისობა 2023“ აღნიშნა. დღესასწაულს ესწრებოდნენ ქართული საკვირაო სკოლის მოსწავლეები, სათვისტომოს წევრები და ქართული კულტურით დაინტერესებული სტუმრები.

სათვისტომოს პრეზიდენტმა, სვეტლანა ნამჩევაძემ დამსწრე საზოგადოებას უკვე ტრადიციად ქცეული დღესასწაული მიულოცა. ქართული საკვირაო სკოლის მოსწავლეებმა აუდიტორიას საქართველოს დედაქალაქის დაარსების ლეგენდა უამბეს, „თბილისობის“ აღნიშვნის ისტორიაზე და საქართველოს მეფეებზე ესაუბრნენ, შემდეგ კი, სათვისტომოს წევრებთან ერთად თბილისისადმი მიძღვნილი სიმღერები შეასრულეს. „ივერიელებმა“ წლევანდელ თბილისობაზე პოეზიის ზეიმიც გამართეს და ქართულ-სომხური თარგმანების ორენოვანი კრებულიდან, „მზიური შთაგონებები“, დიდ ბრიტანეთში მოღვაწე ემიგრანტი პოეტის ხათუნა შავგულიძის ლექსი „თბილისი“ და კრებულის ქართველ და სომეხ ავტორთა პოეტური ნაწარმოებები წაიკითხეს.

დიასპორულმა ორგანიზაციამ „საქართველო“ თესალონიკის მულტიკულტურულ ფესტივალში მიიღო მონაწილეობა

22 ოქტომბერს, ქ. თესალონიკში, რიგით მეთერთმეტე მულტიკულტურული ფესტივალი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა 30-მდე სხვადასხვა ქვეყნის დიასპორულმა ორგანიზაციამ მიიღო. წლევანდელ ღონისძიებაში, საქართველოს სახელით, ქართული კუთხე წარადგინა დიასპორულმა ორგანიზაციამ - თესალონიკის ქართული საზოგადოება „საქართველო“ - ელგუჯა მინაძის ხელმძღვანელობით და, ანსამბლმა „საქართველო“ - რუსუდან საბაძის ხელმძღვანელობით.

ფესტივალს ქ. თესალონიკში საქართველოს გენერალური კონსული ნოდარ კომახიძე და ვიცე-კონსული კარლო ჩხაიძე დაესწრნენ.

რომში ქართული კულინარიის საღამო გაიმართა

22 ოქტომბერს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ გამარჯვებულის იტალიის რესპუბლიკაში, ბელა უგრეხელიძის ორგანიზებით, ქ. რომში საბავშვო კულინარიული მასტერ-კლასი გაიმართა. მასტერ-კლასი იტალიაში საქართველოს საელჩოში გაიმართა და მას ახალგაზრდა ქართველმა მზარეულმა სალომე ბუავამ უხელმძღვანელა. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს რომის სამრევლოსთან არსებულმა საკვირაო სკოლის „ფესვები“ აღსაზრდელებმა. სკოლის მოსწავლეებმა და მათმა იტალიელმა მეგობრებმა ერთად მოამზადეს და დააგემოვნეს ქართული კერძები, სტუმრებს გააცნეს ქართული მრავალფეროვანი კულინარიული კულტურა.

ღონისძიებას ესწრებოდა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იტალიის რესპუბლიკაში კონსტანტინე სურგულაძე.

თესალონიკის ქართულმა თეატრალურმა დასმა სპექტაკლი „ნაცარქექია დაბრუნდა“ წარადგინა

22 ოქტომბერს, ქ. თესალონიკის ქართულმა თეატრალურმა დასმა საბავშვო სპექტაკლი „ნაცარქექია დაბრუნდა“ წარადგინა. სპექტაკლის შემდეგ, თესალონიკში არსებული ქართული სიმღერების ანსამბლების მონაწილეობით კონცერტი გაიმართა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ქ. თესალონიკში საქართველოს გენერალური კონსული ნოდარ კომახიძე, ვიცე-კონსული კარლო ჩხაიძე და საბერძნეთში ქართული დიასპორის წარმომადგენლები. გენერალურმა კონსულმა დასის მსახიობებს დიდ სცენაზე პირველი ნაბიჯების გადადგმა მიულოცა და შემოქმედებითი წარმატებები უსურვა. მან თესალონიკში ქართული თეატრის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის მადლობა გადაუხადა დასის ხელმძღვანელს, მალხაზ რაზმაძეს და ქართული ანსამბლების ხელმძღვანელებს წარმატება უსურვა.

დუზჯეში საერთაშორისო სიმპოზიუმი „თურქულ-ქართული კულტურული ურთიერთობები“ ჩატარდა

27 ოქტომბერს, ქ. დუზჯეში, თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს, თურქეთის ქ. დუზჯეს უნივერსიტეტისა და დუზჯეს ქართული კულტურის ასოციაციის ორგანიზებით, ერთობლივი საერთაშორისო სიმპოზიუმი „თურქულ-ქართული კულტურული ურთიერთობები“ გაიმართა. სიმპოზიუმი ქ. დუზჯეს უნივერსიტეტში ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილების დაარსების 10 და თურქეთის რესპუბლიკის დაარსების 100 წლისთავს მიეძღვნა.

სიმპოზიუმში მონაწილეობა მიიღეს თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, გიორგი ჯანჯღავამ, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, ზურაბ ხონელიძემ და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის, საქართველოს წამყვანი უნივერსიტეტების პროფესორებმა და აკადემიური წრეების წარმომადგენლებმა. სიმპოზიუმის მიზანს წარმოადგენდა თურქეთში საქართველოს შესახებ ცნობადობის ამაღლება, ქართველოლოგიური მიმართულების გაძლიერება და ქართული ენის აკადემიურ დონეზე სწავლების ხელშეწყობა.

სიმპოზიუმის ფარგლებში, დამსწრეებს, შესაძლებლობა მიეცათ, გასცნობოდნენ ქართულ-თურქული ლიტერატურული ურთიერთობების განვითარების ისტორიის ამსახველ პროექტებსა და სამომავლო ინიციატივებს. სიმპოზიუმის ფარგლებში გამოიფინა კალიგრაფების: დავით მაისურაძის, სელამი გუმუშისა და ჰელენ იოსელიანის მიერ ქართულ მოტივებზე შესრულებული ნამუშევრები.

სიმპოზიუმის დროს საქართველოს ელჩმა შეხვედრა გამართა დუზჯეს უნივერსიტეტის რექტორთან, პროფ. ნედიმ სოზბირთან. შეხვედრაზე საქართველოს ელჩმა მადლიერება გამოხატა თურქეთის რესპუბლიკაში ქართული ენისა და ლიტერატურის აკადემიურ დონეზე სწავლების პროცესის ხელშეწყობის გამო. მხარეებმა სამომავლო თანამშრომლობისათვის მზაობა და გააქტიურების სურვილი გამოთქვეს.

აღსანიშნავია, რომ დუზჯეს უნივერსიტეტისა და საქართველოს საელჩოს ერთობლივი ინიციატივით დაიწყო მუშაობა, დუზჯესა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის, საერთო სასწავლო პროგრამის შემუშავებასა და ერთობლივი დიპლომის გაცემის მიმართულებით შესაძლო თანამშრომლობის დასამყარებლად.

საქართველოს ელჩის შეხვედრა ქართველ და გერმანელ სტუდენტებთან

27 ოქტომბერს, ქ. ბერლინში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ლევან იზორიამ შეხვედრა გამართა საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ 2023 წლის გამარჯვებულთან გერმანიაში, თამარ ჩომახიძესთან და ქართველ და გერმანელ სტუდენტებთან, ასევე, სხვადასხვა ანალიტიკური ფონდის წარმომადგენლებთან.

შეხვედრაზე საქართველოს ელჩმა ყურადღება გაამახვილა რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციასა და ადგილზე შექმნილ მძიმე ვითარებაზე. ლევან იზორიამ დამსწრე ახალგაზრდებს ევროკავშირის მიერ განსაზღვრული 12 რეკომენდაციის შესრულების კუთხით საქართველოს მიერ მიღწეულ პროგრესზე ინფორმაცია მიაწოდა და მიმდინარე წელს ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მიღების მნიშვნელობაზე ესაუბრა, ასევე, ყურადღება გერმანიის მიერ საქართველოს უსაფრთხო ქვეყნად აღიარების პერსპექტივაზე გაამახვილა.



ათენში ენების ცენტრი „ATHENS LANGUAGE SPOT“ გაიხსნა

28 ოქტომბერს, ქ. ათენში მცხოვრები ქართველი ემიგრანტის, სოფია კაკაჩიას ინიციატივით, ენების ცენტრი - „ATHENS LANGUAGE SPOT“ გახსნა. ენების ცენტრში ქართველ ემიგრანტებს და სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებს უცხო ენები შესწავლის საშუალება ექნებათ.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს კონსულმა, გელა ჯაფარიძემ და უფროსმა მრჩეველმა, დავით კორძაძემ, ასევე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ავთანდილ მიქაბერიძემ, ფილოლოგიის მაგისტრმა და ლიტერატურათმცოდნეობის დოქტორანტმა, კავკასიის უნივერსიტეტის ლექტორმა თამთა ყალიჩავამ და ანგლისტიკის მაგისტრმა სოფიო კაკაჩია-ღეორღიუმ, რომელიც ამავდროულად არის ხსენებული ცენტრის ინგლისური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი. ღონისძიების მონაწილეებმა ისაუბრეს ქართველი მასწავლებლების საქმიანობის მნიშვნელოვან როლზე ათენში მცხოვრები ქართველი ბავშვებისთვის უცხო ენების, ქართული ლიტერატურისა და ისტორიის შესწავლაში.

ვილნიუსში ქართული საკვირაო სკოლა გაიხსნა

28 ოქტომბერს, ლიეტუვას რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერითა და ქართული დიასპორის ძალისხმევით, ვილნიუსის უნივერსიტეტის ერთ-ერთ აუდიტორიაში ქართული საკვირაო სკოლა გაიხსნა.

გახსნის ღონისძიებაზე მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ლიეტუვას რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, სალომე შაფაქიძემ. მან მადლობა გადაუხადა ვილნიუსის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას თანადგომისთვის და სკოლის სასწავლო სივრცით უზრუნველყოფისათვის. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ, ასევე, ქართული დიასპორის წარმომადგენლები, ხოლო, ანსამბლმა „ხარებამ“, რომელიც იმ დღეებში ლიეტუვაში გასტროლებით იმყოფებოდა, საკვირაო სკოლის მოსწავლეებსა და დიასპორის წარმომადგენლებს სასწავლო წლის დაწყება ქართული ხალხური სიმღერებითა და საგალობლებით მიულოცა.

მადრიდში ქართულმა საკვირაო სკოლამ „ბეღურა“ შემოდგომის დღესასწაული აღნიშნა

28 ოქტომბერს, ქ. მადრიდის ქართულმა საკვირაო სკოლამ „ბეღურა“ შემოდგომის დღესასწაული აღნიშნა. ესპანეთის სამეფოში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს მსახიობებმა - ნანა ფაჩუაშვილმა, ნინელი ჭანკვეტაძემ, ნუგზარ რუხაძემ და რამაზ იოსელიანმა („თეატრი ათონელზე“). სკოლა „ბეღურას“ მოსწავლეებმა დღესასწაული ქართული სიმღერებითა და ცეკვით აღნიშნეს.

ზეიმს დაესწრო ესპანეთის სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ილია გიორგაძე, საელჩოს უფროსი მრჩეველი ზურაბ მჭედლიშვილი, საელჩოს კონსული თეიმურაზ ბასილაია და საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ 2023 წლის გამარჯვებული ესპანეთის სამეფოში შოთა მიქაუტაძე. მან სკოლის ბიბლიოთეკას ქართული საბავშვო წიგნები გადასცა.

ქართული პოლიფონიის საღამო ჰაagაში

28 ოქტომბერს, ფესტივალ „ევროპალია-საქართველოს“ ფარგლებში, ჰააგის სამეფო კონსერვატორიის Amare - Den Haag დარბაზში ქართული პოლიფონიის საღამო გაიმართა. ღონისძიების ფარგლებში, მაყურებლის წინაშე წარდგნენ საქართველოს სახელმწიფო კამერული გუნდი, გორის ქალთა კამერული გუნდი და ანსამბლი „ბასიანი“.

საკონცერტო პროგრამის დაწყებამდე, ნიდერლანდებში ქართული დიასპორის წარმომადგენელთა მონაწილეობით ორგანიზებული პრეზენტაციები გაიმართა, რომელთა მსვლელობისას მრავალრიცხოვანი სტუმრები ქართული ჭედურობის უნიკალურ ნიმუშებს, ნიდერლანდურ ენაზე თარგმნილ ქართულ ლიტერატურას, ქართული ხალხური რეწვის ნაწარმს, საქართველოში დამზადებულ ხელ-ნაკეთობებს, სამარკო ღვინოებს და ქართულ სამზარეულოს მრავალფეროვნებას გაეცნენ. ღონისძიებას ესწრებოდა ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დავით სოლომონია, ნიდერლანდებში ქართული დიასპორის წარმომადგენლები და უცხოელი სტუმრები.

სპექტაკლის „ოთარაანთ ქვრივი“ პრემიერა ანტვერპენში



29 ოქტომბერს, ქ. ანტვერპენის წმინდა ნინოს სახელობის ქართულ ეკლესიასთან არსებულმა საბავშვო თეატრმა „ჩვენ დავბრუნდებით“, საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, სპექტაკლის „ოთარაანთ ქვრივი“ პრემიერა გამართა (რეჟისორი გეგა ქურციკიძე).

წარმოდგენაში ოთარაანთ ქვრივის როლს თეატრის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი მანანა ხორბალაძე ასრულებდა. მასთან ერთად მონაწილეობდნენ ქ. ანტვერპენში მოქმედი ბერი გაბრიელის სახელობის საკვირაო სკოლის მოსწავლეები, ასევე, საქართველოდან, საფრანგეთიდან და ირლანდიიდან მოწვეული პროფესიონალი და მოყვარული მსახიობები.

სპექტაკლის პრემიერას ესწრებოდნენ ბელგიის სამეფოსა და ლუქსემბურგის დიდ საჰერცოგოში საქართველოს ელჩი, ევროკავშირთან საქართველოს წარმომადგენელი, ვახტანგ მახარობლიშვილი და ქართველი დიპლომატები, ბელგიისა და ჰოლანდიის ეპისკოპოსი მეუფე დოსითეოსი და ეპარქიის სასულიერო პირები, ასევე, ბელგიის ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

საქართველოს ელჩმა წარმოდგენის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს მადლობა გადაუხადა, ბელგიის სამეფოში ქართული საქმის წარმატებით განხორციელებისთვის.

შემოდგომის დღესასწაული დუბლინში

29 ოქტომბერს, ქ. დუბლინში, წმინდა მაქსიმე აღმსარებლის სახელობის ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის წინამძღვრის, დეკანოზი გიორგის (ლაშა ტრაპაიძე) ორგანიზებით, „შემოდგომის დღესასწაული - თბილისობა“ გაიმართა. ღონისძიებამ ირლანდიის სხვადასხვა ქალაქებში მცხოვრები ქართველები გააერთიანა. დუბლინის ქართული საკვირაო სკოლა „ლამპარის“ მოსწავლეებს საშუალება მიეცათ, ეხილათ ქართული ადათ-ჩვევები, გაეგოთ ტრადიციები. მოესმინათ ქართული ხალხური სიმღერები და ენახათ ცეცხლოვანი ქართული ცეკვები.

დეკანოზმა გიორგიმ მადლობა გადაუხდა ღონისძიების მონაწილეებს და აღნიშნა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და ქართული კულტურის პოპულარიზაციის მნიშვნელობა. აღინიშნა ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერა ეროვნული და კულტურული იდენტობის შენარჩუნების საქმეში.

ზეიმს ესწრებოდა ირლანდიაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გიორგი ზურაბაშვილი და ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

ზაარბრუკენში ქართველი და გერმანელი მუსიკოსები ერთობლივი კონცერტი გაიმართა

29 ოქტომბერს, ქ. ზაარბრუკენში, ზაარლანდის ტელე-რადიო მაუწყებლობის დიდ დარბაზში ქართულ-გერმანული კონცერტი გაიმართა. კონცერტში მონაწილეობას იღებდნენ ქართველი და გერმანელი შემსრულებლები (სამხატვრო ხელმძღვანელი ჰელმუტ ჰოფმანი). სპეციალურად საქართველოდან მოწვეულნი იყვნენ მომღერლები ნანა კალანდაძე, ნინო ანდრიაძე, ია შუღლიაშვილი, ხოლო გერმანიის მხრიდან - ქ. შტუტგარტის ვოკალური ანსამბლის 7 მომღერალი. საღამოს წამყვანმა დაძმობილებული ქალაქების თბილისისა და ზაარბრუკენის მეგობრობის შესახებ (1975 წლიდან) წარდგინება მოაწყო. აღნიშნულ კონცერტზე ქართულ ხალხურ, ქალაქურ სიმღერებთან და საგალობლებთან ერთად შესრულდა გერმანული პოლიფონიური მუსიკა, მსახიობებმა წაიკითხეს ამონარიდები რაინერ მარია რილკესა და ფრანც ჰერმანშტალის ნაწარმოებებიდან.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ქ. მაინის ფრანკფურტში საქართველოს გენერალური საკონსულოს თანამშრომლები, ქ. ზაარლანდის ფედერალური მიწის მთავრობის წარმომადგენლები, კულტურის სფეროს მოღვაწეები და ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

ღონისძიების დასასრულს, საკონსულოს თანამშრომლებმა ქართულ დიასპორის წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართეს. გამოითქვა, სამომავლოდ მჭიდრო თანამშრომლობის სურვილი, რაც ხელს შეუწყობს საქართველოსა და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებს შორის კავშირის გაღრმავებასა და დაძმობილებული ქალაქების უფრო დაახლოებას.

სტამბოლის კულტურისა და ხელოვნების ფონდის (IKSV) ორგანიზებით თეატრალური წარმოდგენა გაიმართა

30-31 ოქტომბერს, ქ. სტამბოლში, თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოსა და ქ. სტამბოლში საქართველოს გენერალური საკონსულოს მხარდაჭერითა და სტამბოლის კულტურისა და ხელოვნების ფონდის (IKSV) ორგანიზებით, სტამბოლის 27-ე საერთაშორისო თეატრალური ფესტივალში მონაწილეობა კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის დასმა მიიღო. თეატრი მაყურებელის წინაშე წარდგა სპექტაკლით - ,,უეცრად, გასულ ზაფხულს“.

ბუდაპეშტში ქართულ მეღვინეობას ღონისძიება მიეძღვნა

31 ოქტომბერს, ქ. ბუდაპეშტში, რესტორანში „Hachapuri, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ 2023 წლის გამარჯვებულმა უნგრეთში, მარიამ ქებაძემ ქართული მეღვინეობის შესახებ საინფორმაციო ღონისძიება გამართა და ქართველ და უცხოელ სტუმრებს ქართული კულტურის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობის, მეღვინეობის უძველესი ტრადიციის შესახებ ესაუბრა, ისტორიულ ფაქტებზე და მახასიათებლებზე დაყრდნობით, საქართველო, როგორც ღვინის უძველესი მწარმოებელი ქვეყანა, წარმოაჩინა.
ღონისძიებაზე, ღვინისა და ქართული ტრადიციული კერძების დეგუსტაცია ცოცხალი მუსიკის ფონზე მიმდინარეობდა.

ხელოვნების საღამო დრეზდენში

31 ოქტომბერს, ქ. დრეზდენში, დიასპორული ორგანიზაციის „ქართველები გერმანიაში“ ინიციატივით ხელოვნების საღამო „Art Abend“ მოეწყო. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა ფილმის „ექვთიმე ღვთისკაცი“ ჩვენება. მოწვეულ სტუმართა შორის იყვნენ ფილმის რეჟისორი ნიკოლოზ ხომასურიძე და მთავარი როლის შემსრულებელი რეზო ჩხიკვიშვილი.
საღამოს ესწრებოდნენ დრეზდენის ქართული დიასპორის წარმომადგენლები და მოწვეული გერმანელი სტუმრები.

ისრაელში ქართულმა დიასპორამ ისრაელის ჯარის მხარდაჭერის აქცია დაიწყო

ისრაელში მცხოვრებმა ქართველმა ემიგრანტებმა ისრაელის ჯარის მხარდასაჭერად, ერთ-ერთი გარნიზონის მეომრები (160 ჯარისკაცი) ქართული კერძებით გამასპინძლება გადაწყვიტეს. დიასპორის წარმომადგენლებმა ერთობლივი ძალისხმევით შეაგროვეს საჭირო თანხა და ქ. რიშონ-ლეციონში მცხოვრები ერთ-ერთი ქართული ოჯახის ბინაში, ქართველი ქალების ჯგუფმა 200 კაცისთვის ხაჭაპურები, ლობიანები, ღვეზელები და ტკბილი ფლავი მოამზადა. ქართულმა სამზარეულომ ჯარისკაცების დიდი მოწონება დაიმსახურა. ორგანიზაციის „თევერო-ტური“ წარმომადგენელმა და აქციის ინიციატორმა, თეა სირაძემ, განაცხადა, რომ ეს ერთჯერადი ხასიათის აქცია არ არის და სამომავლოდაც გაგრძელდება. ისრაელის ჯარის დასახმარებლად დაწყებულ აქციას ყოველდღიურად მეტი ქართველი ემიგრანტი უერთდება.

Polska Fundacja Artystów Scenicznych
PLAC TEATRALNY
61-809 Poznań, ul. Św. Marcin 80/82 p.323
tel: +48 792 478 099
mail: f.frejczak@placteatralny.eu
NIP 783 172 20 79, REGON 36144215
www.placteatralny.eu

Poznan, Tbilisi, May 09, 2023

LETTER OF INTENT

The Polish Foundation of Stage Artists "Plac Teatralny" intends to develop cultural cooperation between the Republic of Poland and Georgia with the support of Young Ambassador of Georgia in Poland, Mr. Tornike Tsirekidze, in order to carry out the project "WITOLD GOMBROWICZ IMAGINARIUM - NEW WORLD". Our partners in this project are the Helena Modrzejewska National Stary Theatre in Krakow and the Rustaveli Theatre in Tbilisi.

Our goal is to establish cooperation between the most important theaters in Poland and Georgia, with the basis being Witold Gombrowicz's "The Marriage". In the first quarter of 2024, we will organize artistic workshops for Georgian actors and directors at the Rustaveli Theatre in Tbilisi, conducted by outstanding Polish creators associated with the Helena Modrzejewska National Stary Theatre in Krakow, who have in their repertoire Gombrowicz's stagings and creations. We will present a reading of Gombrowicz's drama to the Georgian audience in a performative manner, and we will also present his most important staging directed by Jerzy Jarocki from 1991. Distinguished Polish theater scholars will lead the introduction to the presentation of "The Marriage".

We want to talk about the emerging reality in the context of Gombrowicz's "The Marriage", which in the current historical moment takes on a special dimension. Henryk, while dreaming his dream, returns home degraded by war that destroyed the old world and with it, the moral order. Nothing is as it used to be, everything is created anew among people. Poles and Georgians have experienced war and brutal ideologies of Nazism and Communism many times. Today, in the face of events in Ukraine, we ask ourselves what humans are capable of when their transcendence is taken away and turned into an ideology, where the boundary of human nature, which has placed itself at the center of creation, lies.

The project will be funded by the "Plac Teatralny" Foundation from the funds and grants obtained for this purpose.

Polska Fundacja Artystów Scenicznych
PLAC TEATRALNY
Filip Frejczak
President of the "Plac Teatralny" Foundation

Robert Sturua
Rustaveli Theatre in Tbilisi

Tornike Tsirekidze
Young Ambassador of Georgia in Poland

რუსთაველის თეატრსა და კრაკოვის სახელმწიფო თეატრებს შორის მემორანდუმი გაფორმდა

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ 2023 წლის გამარჯვებულის პოლონეთის რესპუბლიკაში, თორნიკე ცირეკიძის ინიციატივითა და ორგანიზებით, რუსთაველის თეატრსა და კრაკოვის სახელმწიფო თეატრებს შორის მემორანდუმი გაფორმდა. პროგრამის ფარგლებში აღნიშნული შეთანხმება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევაა, რადგან საქართველოსა და პოლონეთს შორის მსგავსი პროექტი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არ განხორციელებულა. პროექტი გრძელვადიანია და მოიცავს საინტერესო თემების ფართო სპექტრს. მემორანდუმის შემუშავების პროცესში რეჟისორმა რობერტ სტურუამაც მიიღო მონაწილეობა. აღნიშნული შეთანხმება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია საქართველოსა და პოლონეთს შორის ურთიერთობების განმტკიცებაში.

ტექნიკური ხარვეზის გამო, სექტემბრის „დიასპორულ საინფორმაციო ბიულეტენში“ გამოტოვებული ღონისძიებები შეექმნება მიმდინარე ნომერში

ჩარშამბაში ქართული ენის შემსწავლელი რიგით მეორე კურსი გაიხსნა

15-17 სექტემბერს, ქ. ჩარშამბაში, „ჩარშამბას ქართული კულტურის ასოციაციასთან“ (Çarşamba Gürcü Kültür Derneği) არსებული ქართული ენის შემსწავლელი რიგით მეორე კურსი გაიხსნა.
გახსნის ცერემონიას ესწრებოდნენ ქ. ტრაპიზონში საქართველოს გენერალური კონსული, გელა ჯაფარიძე, ვიცე-კონსული თემურ ტარტარაშვილი, „ბათუმის თურქ და ქართველ ბიზნესმენთა ასოციაციის“ (BATGİAD) თავმჯდომარე, აიჰან დიქმე, „ჩარშამბას ქართული კულტურის ასოციაციის“ ხელმძღვანელი, ომერ სემიზი და ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრები, „სტამბოლის ქართული კულტურის ცენტრის“ ხელმძღვანელი, ფეჰმი უზალ უსტიაშვილი, „სალიფაზარის ბათუმელთა სოციალური თანადგომისა და სოლიდარობის საზოგადოების“ ხელმძღვანელი, ადემ იაზიჯი, ორდუს „ქართული კულტურის პოპულარიზაციისა და სოლიდარობის საზოგადოების“ თავმჯდომარე, ექრემ ქოშუმი, „უნიეს ქართული მეგობრობისა და კულტურის საზოგადოების“ თავმჯდომარის მოადგილე, სერდარ ქოჯაოღლუ, ქ. სტამბოლის „შოთა რუსთაველის სახელობის კულტურის ცენტრის“ თავმჯდომარის მოადგილე, ორჰან ბერიძე და ადგილობრივი ქართული დიასპორის წარმომადგენლები.
ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს, ხაზი გაესვა ქართული ენისა და კულტურის შენარჩუნების საკითხში ქართული დიასპორული ორგანიზაციების როლს.
აღსანიშნავია, რომ „ჩარშამბას ქართული კულტურის ასოციაცია“, რომელიც ხელს უწყობს რეგიონში ქართული კულტურისა და ხელოვნების პოპულარიზაციას, 2022 წლის 26 მარტს გენერალური საკონსულოს აქტიური ხელშეწყობით გაიხსნა.

სტუდია „კოლხიდა“ ლე-ჰავრში საქველმოქმედო ღონისძიებაზე წარდგა

30 სექტემბერს, ქ. ლე-ჰავრში გაიმართა საქველმოქმედო ღონისძიება სახელწოდებით „სოლიდარობა ძალადობის მსხვერპლ ქალებს“.
ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ლე-ჰავრში მოქმედმა ქართული ცეკვის სტუდიამ „კოლხიდამ“. იგი მაყურებლის წინაშე ქართული ტრადიციული ცეკვებით წარდგა. ღონისძიებას ესწრებოდნენ საფრანგეთში ქართული დიასპორის წარმომადგენლები, ასევე, ფრანგი და ინგლისელი სტუმრები.

დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

ჩიტაძის ქ. 4, თბილისი
0118, საქართველო

ტელ.: +995 32 294 50 00

diaspora@mfa.gov.ge

/mfageorgia

/mfageorgia

/MFAGEO